British–Georgian Academy

ძვირფასო მშობლებო,

ცოტა ხნის წინ თითოეული ჩვენგანი შეძრა ცნობამ ჩვენი ძვირფასი მოსწავლის, მართას გარდაცვალების შესახებ. რთულია, ამ ტკივილის აღსაწერად შესაბამისი სიტყვები იპოვო. მართამ საოცარი სინათლე შემოიტანა ჩვენს სკოლაში და მისი არყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი შეავსებს.

მართას გარდაცვალება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის უდიდესი დანაკარგია. თანავუგრძნობთ მის ოჯახს, თანაკლასელებსა და მასწავლებლებს.

პატარებისთვის განსაკუთრებით რთულია ასეთი მძიმე ამბის გააზრება. ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ემოციური თანადგომითა და სწორი ინფორმაციის მიწოდებით ეს პერიოდი აკადემიის პატარა წევრებს შევუმსუბუქოთ.

კიდევ ერთხელ ვუსურვებთ მართას ოჯახს გამძლეობას ამ ენითაღუწერელ მწუხარებასთან გამკლავების პროცესში. გვჯერა, რომ ასეთ პერიოდში ადამიანურ თანაგრძნობასა და ტკივილის გაზიარებას საოცარი ძალა აქვს.

მართას სახელი სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულებსა და გონებაში.

პატივისცემით,

ბრიტანულ-ქართული აკადემია

THE BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

მნიშვნელოვანი თარიღები:

მარტი

26 თებერვალი-1-ელი მარტი: წიგნის კვირეული
4 მარტი-15 მარტი: საცდელი გამოცდები სადიპლომო პროგრამის მეთორმეტე კლასელთათვის
7 მარტი: სპექტაკლი უმცროსკლასელთათვის აკადემიის ახალ თეატრში
8 მარტი: ქალთა საერთაშორისო დღე - დასვენება
11-15 მარტი: მათემატიკის საერთაშორისო კვირეული (VI - XII კლასები)
14 მარტი: საგაზაფხულო შემოქმედებითი ლიტერატურული კონკურსი "ათინათი", პირველი ტური (IX-XI კლასები)
21 მარტი: დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე (წინდების გამოფენა-გაყიდვა)
22-24 მარტი: შავი ზღვის თამაშები
26 მარტი: დაწყებითი საფეხურის მე-5 წითელი კლასის მოსწავლეების წარმოდგენა - „Wind and the Willow"
27 მარტი: დაწყებითი საფეხურის მე-5 ლურჯი კლასის მოსწავლეების წარმოდგენა - „Wind and the Willow"
29 მარტი-9 აპრილი: გაზაფხულის არდადეგები

საერთაშორისო მშობლიური ენის კვირეული

მადლობა ჩვენს უცხოური ენების კათედრასა და მის ხელმძღვანელ ქეთი იორამიშვილს საინტერესო ასამბლეებისა და შემეცნებითი აქტივობების ორგანიზებისთვის.

ძვირფასო მშობლებო

გაიარა კიდევ ერთმა თვემ, რომელიც საკმაოდ დატვურთული იყო:

წარმატებით დასრულდა გასვლითი საგანმანათლებლო ტური ცერნში, შვეიცარიის ბირთვული კვლევების ცენტრში; ასევე წარმატებული იყო ვიზიტი თურქეთში, სადაც ჩვენმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა ანტალიაში მიმდინარე საკალათბურთო შეჯიბრებაზე.

თებერვლის თვეში აკადემიაში საერთაშორისო მშობლიური ენის დღე აღნიშნეს უფროსკლასელებმა, ხოლო უმცროსკლასელები საერთაშორისო წიგნის კითხვის დღის აქტივობებში ჩაერთნენ. მასწავლებლებმა თავისი საყვარელი წიგნებიდან ამოიკითხეს ამონარიდები და მოსწავლეები გაახალისეს შემეცნებითი თამაშებით.

ასევე, რესურსების მობილიზებით დავეხმარეთ მოხუცებულთა სახლსა და იმერეთის საჯარო სკოლას.

ჩვენი მოსწავლეები STEM ოლიმპიადის მეორე ტურში

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეები: გვანცა მოცრაძე, თამარ წეროძე, გიორგი ბრეგვაძე, ილია დავითაშვილი, რეზი ხაბურზანია და იოანე კვიჟინაძე წარმატებულად ასპარეზობის შემდეგ გადავიდნენ ოლიმპიადის მეორე ტურში. გუნდს აქტიურად უდგას მხარში აკადემიის ინოვაციების ცენტრის თანამშრომელი გიორგი კურცხალია.

ექიმის შემეცნებითი ვიზიტი უმცროსკლასელებთან

ბრიტანულ-ქართული აკადემიის ექიმმა პატარებს შემეცნებითი სესიები ჩაუტარა პირად ჰიგიენასა და ვირუსებისგან თავის დაცვის საშუალებებზე.

მერვეკლასელთა მშობლებთან შეხვედრა

6 თებერვალს აკადემიის მმართველი გუნდი მერვეკლასელებსა და მათ მშობლებს შეხვდა IGCSE პროგრამის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

მოსწავლეები სულ მალე შეუერთდებიან კემბრიჯის პროგრამის ამ საინტერესო საფეხურს და საგნების არჩევის საშუალებაც მიეცემათ.

დილის ყავა მშობლებთან

ორშაბათს, აკადემიის ექიმი მშობლებს შეხვდა დილის ყავაზე სასაუბროდ. საუბრის დროს აქტუალური იყო ისეთი თემები, როგორებიცაა: სეზონური ვირუსები, ბავშვთა დაავადებები და მათი მოვლის გზები.

BGA-ისა და BIST-ის ვიზიტი CERN-ში, შვეიცარია

როგორც იცით, ჩვენმა მოსწავლეებმა მოინახულეს ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებითაც დაბრუნდნენ შინ.

დებატების სესია აკადემიაში

9 თებერვალს ჩვენი მერვეკლასელები საინტერესო დებატებში ჩაერთნენ, თემაზე - “Money can buy happiness”.
გუნდებს დებატების ტექნიკაში აკადემიის ინგლისური ენის კათედრის წარმომადგენლები, სოფო ჟღენტი და სალომე ბუბუტეიშვილი ავარჯიშებდნენ.
მოსწავლეებმა სერტიფიკატებიც დაიმსახურეს სხვადასხვა ნომინაციაში.



წიგნის საჯაროდ კითხვის დღე

7 თებერვალს დაწყებითი კლასების მოსწავლეები წიგნის საჯაროდ კითხვის დღისადმი მიძღვნილ აქტივობებში ჩაერთნენ. ამ დღის საინტერესოდ აღსანიშნავად მომზადდა საინტერესო ვიდეოკოლაჟი თემებზე: 1. „გამოიცანი წიგნი/პერსონაჟი“ - მოსწავლეებმა გამოიცნეს წიგნის პერსონაჟები ცნობილი საბავშვო წიგნებიდან და 2. „გამოიცანი მასწავლებელი“ - მასწავლებლებმა გადაიღეს ფოტოები მათ საყვარელ წიგნთან ერთად, მოსწავლეებს კი ისინი უნდა გამოეცნოთ.

იყო ბევრი სახალისო ვიქტორინა, წამახალისებელი პრიზი და კიდევ სხვა მრავალი სახალისო აქტივობა.

რა? სად? როდის?

ჩვენმა მე-10 კლასელებმა დაძაბულ და საინტერესო კითხვებით დატვირთულ ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" 1-ელი ადგილი დაიკავეს.

"რა? სად? როდის?" European Union in Georgia-ის ორგანიზებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის კერძო სკოლებს შორის გაიმართა და 850-ზე მეტი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.

სახვითი ხელოვნების გამოფენა ატრიუმში

12 თებერვალს სკოლამ მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასელთა მშობლები მოსწავლეთა ნახატების გამოფენაზე მოიწვია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პირველი სემესტრის განმავლობაში შექმნილი სხვადასხვა ჟანრსა და ტექნიკაში შესრულებული ნამუშევრები.

მადლობა ხელოვნების მასწავლებელ ბაჩო გოგოლაშვილს ამ სასიამოვნო საღამოს ორგანიზებისვის.

ოლიმპიადა "ევერესტში" გამარჯვებული

„ევერესტის" ოლიმპიადაში დაწყებითი საფეხურის 20-მდე მოსწავლემ მოიპოვა სხვადასხვა საპრიზო ადგილი. მოსწავლეები მათემატიკის კათედრამ ოთხშაბათს, 21 თებერვალს სამახსოვრო სერთიფიკატებით დააჯილდოვა.

უნდა გამოვყოთ აკადემიის მეოთხე კლასის მოსწავლე ვლადიმერ თუთისანი, რომელმაც ოლიმპიადის ოქროს ტურში ოქროს სიგელი მოიპოვა. დიდი მადლობა მის პედაგოგს, ქალბატონ მაია ხაზიურს!

სპორტული სიახლეები

თებერვლის თვე აკადემიაში დატვირთული იყო სპორტული სიახლეებით:

5, 14 და 22 თებერვალს გაიმართა ფრენბურთისა და ფეხბურთის ამხანაგური მატჩები.

ჩვენი მოსწავლეები სკოლა QSI-ის ორგანიზებულ კალათბურთის ტურინირშიც ჩაერთნენ. ბიჭები ფინალში გავიდნენ, ჩვენმა გოგოებმა კი ტურნირი გამარჯვებით დაასრულეს. ტურნირში BIST-ისა და BGA-ის გაერთიანებული გუნდი Lions-ი მონაწილეობდა.

ჩვენი ბიჭების კალათბურთის გუნდი საერთაშორისო საკალათბურთო შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას, რომელიც ანტალიში გაიმართა. მათ თურქეთში წარმატებით იასპარეზეს და ტურინირის გამარჯვებულებიც გახდნენ.

26 თებერვალს მესამე და მეოთხე კლასის ფეხბურთის გუნდმა ამხანაგური მატჩი გამართა ბაქსვუდის სკოლის წინაარმდეგ და მატჩი ჩვენი გუნდის გამარჯვებით დასრულდა, ანგარიშით 3-1.

ექსკურსიები სახელოვნებო სივრცეებში

5-9 თებერვალს I-II კლასები IPC-ის თემის დახურვის ფარგლებში ეწვივნენ სახელოვნებო სივრცეებს - „კოდალა" და „ღილი", სადაც ორიგინალური ნამუშევრები დაამზადეს და შემდეგ თავიანთი კლასები მორთეს.

ბუნებისმეტყველების ფარგლებში მოსწავლეებმა დაასრულეს დაწყებითი საერთაშორისო კურიკულუმით გათვალისწინებული თემატური ერთეულები: „Materials" და „Magic Toy".

შეხვედრა საყვარელ ავტორთან

მე-5 კლასის მოსწავლეები წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს თავის ერთ-ერთ საყვარელ ავტორს, ნილს სიმეონს შეხვდნენ, რომელიც არის ავტორი მოსწავლეებისთვის საყვარელი წიგნის - „14 კრისტალის თეორია"

ნილს სიმეონი გიორგი მასხარაშვილის ფსევდონიმია, რომელმაც პატარა მკითხველებთან წიგნი "14 კრისტალის თეორია" განიხილა და მათთვის საინტერესო კითხვებსაც უპასუხა პერსონაჟებისა და სიუჟეტების შექმნის პროცესზე.

ჰაუს ქულები

1131 ქულა — PIROSMANI

1081 ქულა — TAMAR MEPE

1025 ქულა — ILIA

896 ქულა — RUSTAVELI